



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №24

2023 წლის 28 სექტემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის № 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის № 19 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებ. გვერდი [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო კოდი ; 010250020.35.122.016680; 03/07/2023 წელი ) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4. სტაჟიორთა კვოტა და სტაჟირების ვადა**

6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორთა მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ მაინც“.

2. დადგენილებით დამტკიცებული მე-5 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. საკონკურსო განაცხადი**

სტაჟირების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) რეზიუმე ქართულ ენაზე;

დ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან ცნობა უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითაც დასტურდება სწავლის ფაქტი.“

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



თეიმურაზ ჭეიშვილი